

491.962.1

ზ-259

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ღელი ბარამიძე

**ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა
(პირი, რიცხვი, გვარი)
ისტორიისათვის ქართულში**

10.02.01 — ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2004

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

- ოფიციალური ოპონენტები:**
- 1. **თედო უთურგაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.01)
 - 2. **ალექსანდრე ონიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.08)
 - 3. **მიხეილ ქურდიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.08)

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 8 დეკემბერს, 12.30 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.07 № 7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1, აუდიტორია №93.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: თბილისი, 0134, უნივერსიტეტის ქუჩა, № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 4 ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

რ. ქურდიანი რ. ქურდიანი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. ენის გრამატიკულ სტრუქტურაში ზმნას საზოგადოდ ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული ენის ზმნა, რომელიც უაღრესად რთულია სტრუქტურულად და მრავალმხრივი ფუნქციითა მიხედვით. სახელის შედარებით სიმარტივეს ქართულში უპირისპირდება ზმნის გრამატიკული სტრუქტურის მრავალფეროვნება და ფუნქციური დატვირთულობა. აღნიშნავენ, რომ ქართულ ზმნას უნარი აქვს გამოხატოს თოთხმეტი სხვადასხვა გრამატიკული კატეგორია (პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა (ჭერობა), აქტი, თანამდევრობა, მწკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი), რომელთაც თავიანთი განსხვავებული გრამატიკული მოდელი აქვთ.

ზმნის გრამატიკულ კატეგორიათაგან ქართულში სირთულით ყურადღებას იქცევს პირი, რიცხვი და გვარი. ნაშრომში ქართული ზმნის აღნიშნული კატეგორიები შესწავლილია ისტორიული თვალსაზრისით, დადგენილია მათი ცვალებადობის ზოგიერთი კანონზომიერება.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართული ზმნის პირის, რიცხვისა და გვარის მორფოლოგიური კატეგორიების გაღრმავებული შესწავლა, მათი განვითარების იმ კანონზომიერებათა გამოვლენა, რაც დღემდე არ ყოფილა შენიშნული. აღნიშნულ საკითხთა შესახებ მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული. წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია ადრე ჩატარებული კვლევის შედეგები, მაგრამ, რაც უკვე გარკვეულია და ეჭვს არ იწვევს, მათ შესახებ საგანგებო მსჯელობა მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული და მიზნად არის დასახული აღნიშნული კატეგორიების ახალი კუთხით შესწავლა.

პირსა და რიცხვთან დაკავშირებით შესწავლილია სუბიექტურ მესამე პირში არსებული ვითარება, აგრეთვე ზმნის სამივე პირის გამოხატვის თავისებურებანი დიალექტების მიხედვით.

1992